სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/01

ქ. თბილისი 16 მარტი 2022

სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საშტატო განრიგებში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2022 წლის 28 იანვრის №0000082288 წერილის, 2022 წლის 2 თებერვლის №0000102117 წერილის, 2022 წლის 14 თებერვლის №0000144512 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2022 წლის 16 მარტის №01-06-02/01 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) გამოკითხვის წესით დაადგინა:

1. დამტკიცდეს სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საშტატო განრიგებში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

- სტუ-ის ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის ადმინისტრაციაში გაუქმდეს დირექტორის თანაშემწის - 1,0 საშტატო ერთეული ხელფასით - 550 ლარი; დაგეგმვისა და პროგნოზირების განყოფილება და განყოფილების უფროსის - 0,5 ერთეული სახელფასო განაკვეთით - 300 ლარი შეიცვალოს უფროსი სპეციალისტის - 0,5

ერთეულით იგივე ანაზღაურებით; და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებაში დამლაგებლის - 1,0 საშტატო ერთეული ხელფასით - 280 ლარი თვეში.

აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, გამოთავისუფლებული თანხა - 830 ლარი გადანაწილდეს შემდეგ საშტატო თანამდებობებზე, კერძოდ: დირექტორის მოადგილის თანამდებობრივ სარგოს დაემატოს - 200 ლარი და გახდეს - 1 300 ლარი; მიწისზედა ტრანსფორმირებადი კონსტრუქციების განყოფილების უფროსის (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) თანამდებობრივ სარგოს დაემატოს - 150 ლარი და გახდეს - 1 300 ლარი და უფროსი მეცნიერი თანამშრომლის - 0,5 ერთეული ხელფასით - 500 ლარი შეიცვალოს მთავარი მეცნიერი თანამშრომლის - 0,5 ერთეულით ხელფასი თვეში 550 ლარი; კოსმოსური და მიწისზედა ტრანსფორმირებადი სისტემების ცენტრის წამყვანი ინჟინრის თანამდებობრივ სარგოს დაემატოს - 60 ლარი და გახდეს - 610 ლარი; ასევე, ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებაში: განყოფილების უფროსის თანამდებობრივ სარგოს დაემატოს - 50 ლარი და გახდეს - 750 ლარი; მძღოლის - 1,0 ერთეულის ხელფასი გახდეს - 750 ლარი, ნაცვლად - 700 ლარისა; მძღოლის - 1,0 ერთეულის ხელფასი გახდეს - 700 ლარი, ნაცვლად - 600 ლარისა და დამლაგებლის - 1,0 ერთეულის ხელფასი გახდეს - 350 ლარი, ნაცვლად - 280 ლარისა; ასევე, რეჟიმისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის - 1,0 ერთეულის ხელფასი გახდეს - 600 ლარი, ნაცვლად - 500 ლარისა.

ზემოთ აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, ინსტიტუტი განისაზღვროს - 45,0 საშტატო ერთეულით, ნაცვლად - 47,0 ერთეულისა და წლიური სახელფასო ფონდი რჩება უცვლელი - 366 480 ლარი;

- ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი - გამოთვლითი მეთოდების განყოფილებაში დაემატოს: უფროსი მეცნიერ თანამშრომლის - 0,5 ერთეული ხელფასით - 315 ლარი და მეცნიერ-თანამშრომლის - 0,5 ერთეული ხელფასით - 260 ლარი; ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილებაში: განყოფილების გამგის (მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი) - 0,5 ერთეული ხელფასით - 425 ლარი გახდეს - 1,0 ერთეული ხელფასით - 850 ლარი და გაუქმდეს მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის - 1,0 ერთეული ხელფასით - 740 ლარი; ინფორმატიკის განყოფილებაში: გაუქმდეს მეცნიერ-თანამშრომლის - 0,5 საშტატო

ერთეული სახელფასო განაკვეთით - 260 ლარი; რაც არ იწვევს ინსტიტუტის საშტატო ერთეულისა და სახელფასო ფონდის ცვლილებას;

- ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი - კოჰერენტული ოპტიკისა და ელექტრონიკის განყოფილებას ეწოდოს – ოპტიკისა და სპექტროსკოპიის განყოფილება, სადაც გაუქმდეს: მთავარი მეცნიერ-თანამშრომელის - 1,0 ერთეული ხელფასით - 740 ლარი; უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის - 2,0 ერთეული ხელფასით - 600 ლარი (სულ - 1200 ლ); მეცნიერ-თანამშრომლის - 1,0 ერთეული ხელფასით - 500 ლარი; უფროსი ლაბორანტის - 1,0 ერთეული ხელფასით - 350 ლარი და შეიქმნას ენერგოეფექტური ტექნოლოგიების ლაბორატორია შემდეგი თანამდებობებით: ლაბორატორიის გამგე (მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი) - 1,0 ერთეული ხელფასით - 700 ლარი; უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის - 2,0 ერთეული ხელფასით - 600 ლარი (სულ - 1200 ლ); მეცნიერ-თანამშრომლის - 1,0 ერთეული ხელფასით - 500 ლარი და უფროსი ლაბორანტის - 1,0 ერთეული ხელფასით - 350 ლარი; ინფორმაციის ჰოლოგრაფიული ჩაწერისა და დამუშავების ლაბორატორიას ეწოდოს: პოლარიზაციულ-ჰოლოგრაფიული კვლევების ლაბორატორია და ოპტიკურ-ქიმიურ კვლევათა ლაბორატორიას ეწოდოს: თერმო და ფოტოქრომული სტრუქტურების ლაბორატორია; ასევე, სახეთა ამოცნობის გამოყენებითი სისტემების განყოფილებაში გაუქმდეს წამყვანი ინჟინრის - 1,0 ერთეული ხელფასით - 450 ლარი და გადანაწილდეს შემდეგ თანამდებობებზე: ნანოკომპოზიტების ლაბორატორიის გამგის ანაზღაურებას დაემატოს თვეში - 100 ლარი და გახდეს - 800 ლარი; ენერგოეფექტური ტექნოლოგიების ლაბორატორიის გამგის ანაზღაურებას დაემატოს თვეში - 100 ლარი და გახდეს - 800 ლარი; არქივარიუსის ანაზღაურებას დაემატოს თვეში - 100 ლარი და გახდეს - 400 ლარი; ბიბლიოთეკის გამგის ანაზღაურებას დაემატოს თვეში - 50 ლარი და გახდეს - 450 ლარი; ელექტრიკოსის ანაზღაურებას დაემატოს თვეში - 50 ლარი და გახდეს - 400 ლარი; სანტექნიკოსის ანაზღაურებას დაემატოს თვეში - 50 ლარი და გახდეს - 400 ლარი. ცვლილებებიდან გამომდინარე, ინსტიტუტი განისაზღვროს - 158,0 საშტატო ერთეულით, ნაცვლად - 159,0 ერთეულისა და სახელფასო ფონდი რჩება უცვლელი;

- ირ. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი: ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების და ეკოლოგიის განყოფილებაში: გაუქმდეს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის - 1,0 ერთეული ხელფასით - 600 ლარი და დაემატოს მთავარი მეცნიერი თანამშრომლის - 1,0 ერთეული ხელფასით - 750 ლარი; მიწის, წყლისა და ტყის რესურსების განყოფილებაში: გაუქმდეს მეცნიერ- თანამშრომლის თანამდებობა - 1,0 ერთეული ხელფასით - 550 ლარი და დაემატოს მთავარი მეცნიერი თანამშრომლის - 0,5 ერთეული ხელფასით - 375 ლარი; ასევე, უფროსი სპეციალისტის - 1,0 ერთეულის ხელფასი გახდეს - 550 ლარი, ნაცვლად - 500 ლარისა და სპეციალისტის - 1,0 ერთეულის ხელფასი გახდეს - 450 ლარი, ნაცვლად - 475 ლარისა. ცვლილებებიდან გამომდინარე, ცენტრი განისაზღვროს - 23,5 საშტატო ერთეულით, ნაცვლად - 24,0 ერთეულისა და სახელფასო ფონდი რჩება უცვლელი;
- ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის ზღვის საინჟინრო გეოლოგიის განყოფილებაში გაუქმდეს მეცნიერ-თანამშრომლის ერთი საშტატო ერთეული ხელფასით 550 ლარი და მის ბაზაზე შეიქმნას მთავარი მეცნიერის 0,5 საშტატო ერთეული, ხელფასით 350 ლარი და მკვლევარ-ასისტენტის 0.5 საშტატო ერთეული, ხელფასით 200 ლარი თვეში. აღნიშნული ცვლილება არ იწვევს ინსტიტუტის საშტატო ერთეულისა და სახელფასო ფონდის ცვლილებას და შესაბამისად, განისაზღვრება 22,5 საშტატო ერთეულით და სახელფასო ფონდით თვეში 14 400 ლარი.

3. სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საშტატო განრიგში განსახორციელებელი ცვლილებები ამოქმედდეს 2022 წლის 1 თებერვლიდან;

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**